დაძლევის სტრატეგიები და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა მარიხუანას მომხმარებლებში

ანი ბუჩუკური

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15.06.2023

აბსტრაქტი

მარიხუანას მოხმარება, წარმოადგენს გავრცელებულ პრობლემას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოში მწვავედ დგას მოხმარების საკითხი და მისით გამოწვეული სირთულეები. აღნიშნული კვლევის მიზანი გახლდათ, დაძლევის სტრატეგიებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შესწავლა მარიხუანას ქართველ მომხმარებლებში. კვლევაში მონაწილეობდა 97 ადამიანი.

კვლევის ცვლადებს წარმოადგენდა (1) მარიხუანას მოხმარების სიხშირე, (2) დაძლევის სტრატეგიები და (3) ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩვენ ვივარაუდეთ, რომ მარიხუანას რეგულარული მოხმარება იქნებოდა უარყოფით კავშირში სტრესის დაძლევის ადაპტური სტრატეგიების გამოყენებასთან და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდასთან. ასევე ვივარაუდეთ, რომ მარიხუანას რეგულარული მოხმარება უარყოფითად იწინასწარმეტყველებს დაძლევის ადაპტური სტრატეგიების გამოყენებასა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებელს. ჩატარებული კორელაციური ანალიზის შედეგად აღოჩნდა, რომ მარიხუანას მოხმარება უარყოფით კავშირშია დაძლევის ადაპტურ სტრატეგიებთან და დადებით კავშირშია არაადაპტურ სტრატეგიებთან, თუმცა ველბეინგის მაჩვენებელსა და მარიხუანას მოხმარებას შორის, არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი კავშირები, ამიტომ აღნიშნული ჰიპოთეზა, ნაწილობრივ დადასტურდა.

რაც შეეხება რეგრესიულ ანალიზს, ჩვენი ჰიპოთეზა, რომ მარიხუანას მოხმარება დადებითად წინასწარმეტყველებს დაძლევის არაადაპტური სტრატეგიების გამოყენებასა და უარყოფითად წინასწარმეტყველებს ველბეინგის მაჩვენებელს არ დადასტურდა, ამიტომ დამატებითი რეგრესიული ანალიზი ჩავატარეთ, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ დაძლევის სტრატეგიები წარმოადგენენ პრედიქტორებს, როგორც მოხმარების მაჩვენებლისთვის ასევე ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებლისთვის. კერძოდ: არაადაპტური სტრატეგიებიდან, ნივთიერების მოხმარება აღმოჩნდა დადებითი პრედიქტორი მოხმარების მაჩვენებლისთვის, ხოლო ადაპტური სტრატეგიებიდან,

ემოციურ სოციალური და ინსტრუმენტულ სოციალური მხარდაჭერის ძიება აღმოჩნდნენ უარყოფითი პრედიქტორები, ხოლო იუმორი როგორც ადაპტური სტრატეგია აღმოჩნდა დადებითი პრედიქტორი მოხმარების მაჩვენებლისთვის. რაც შეეხება ველბეინგის პრედიქტორებს, ქცევით ჩაურთველობას (არაადაპტური სტრატეგია),ის აღმოაჩნდა ყველაზე მაღალი უარყოფითი პრედიქტორული ღირებულება, ხოლო პოზიტიურ ინტერპრეტაციას და ზრდას აღმოაჩნდა მაღალი დადებითი პრედიქტორული ღირებულება ველბეინგის მაჩვენებლისთვის. აღნიშნული შედეგი ბევრ კითხვას ბადებს, რადგან ნავარაუდევი ჰიპოთეზები არ გამართლდა და კვლევამ განსხვავებული შედეგი გვაჩვენა, რაც შესაძლოა ბევრი ფაქტორით იყოს განპირობებული, ამიტომ სამომავლო კვლევის მიმართულება, შესაძლოა სწორედ ამ საკითხის სიღრმისეულ შესწავლას დაეთმოს.

მთავარი საკვანძო სიტყვები: მარიხუანა, დაძლევის სტრატეგიები, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის მაჩვენებელი.

Abstract

consumption of marijuana is a globally pervasive problem. The difficulties and issues caused by its consumption are generally regarded as problematic in Georgia as well. The goal of my research was to study the coping mechanisms and general well-being among the Georgian consumers. 97 people participated in the research.

The study variables were (1) consumption frequency, (2) coping strategies and (3) perceived general psychological well-being. We presumed that the regular consumption of marijuana might have a negative impact on using adaptive stress coping strategies and perceived psychological well-being. We also hypothesized that consuming marijuana regularly would correlate with decreased use of adaptive coping strategies and a lower perceived general psychological well-being.

As a result of the correlation analysis, it was found that marijuana consumption is negatively related to adaptive coping strategies and positively related to maladaptive strategies, however, no significant relations were found between the well-being index and marijuana consumption, so the stated hypothesis was partially confirmed. Regarding the regression analysis, our hypothesis that marijuana use positively predicts the use of maladaptive coping strategies and negatively predicts the well-being index was not confirmed, so we conducted an additional regression analysis which found that coping strategies are predictors for both the consumption index and the psychological well-being index. In particular, from the maladaptive strategies, it has been found that the use of psychoactive substances was found to be a positive predictor for consumption levels. On the other hand, adaptive strategies such as emotional, social, and instrumental search for social support have been recognized as negative predictors. Additionally, humor as an adaptive strategy has been identified as a positive indicator of consumer levels. Regarding well-being predictors, behavioral disengagement (a maladaptive strategy) has been found to have the highest negative predictive value. Conversely, positive interpretation and growth have shown a strong positive correlation with well-being rates. These results raise numerous questions as they contradict the initially predicted hypotheses. The study has provided different outcomes, possibly influenced by various factors. Therefore, future research should focus on a comprehensive investigation of this issue.

Key word: Marijuana, coping strategies, psychological well-being.